

მათემატიკის ოლიმპიადის პირველი ტურის ტესტების მიმოხილვა

მე-4 კლასი

ტესტი შედგება 10 ძირითადი დავალებისგან და 6 ბონუს დავალებისგან. თითოეულს თან ახლავს 3 სავარაუდო პასუხის. ძირითადი ნაწილის ჯამური ქულაა 50. ყველა ძირითადი სავარჯიშო არის 5 ქულიანი, ხოლო ბონუს დავალებები 3 ქულიანი.

მოსწავლემ უნდა შემოხაზოს პასუხი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ამოცანის პირობას. ჯერ უნდა ამოხსნას ამოცანა და შემდეგ აირჩიოს სავარაუდო პასუხი.

ფინალში გამსვლელი ქულაა: 21 (და ყველა 21-ზე მეტი ქულა)

ტესტები არ იქნება დაყოფილი თემატიკის მიხედვით, თუმცა შინაარსობრივად შეგხვდება შემდეგი თემები:

მაგალითი: გამოთვალეთ: $14 \cdot (8 - 7 + 1) - 2 \cdot (4 + 5)$

- A) 6 B) 10 C) 42.

რიცხვთა აგებულება და თვისებები

ეს დავალებები ამოწმებს რიცხვში ციფრების რაოდენობის დათვლას, რიცხვის შემადგენელი თანრიგების (ასეულები, ათეულები, ოცეულები) ცოდნასა და სპეციფიკური პირობებით (მაგალითად, მხოლოდ კენგი ციფრებით) რიცხვების შედგენას.

მაგალითი: რომელი რიცხვი შეიცავს 2 ასეულს, 4 ოცეულსა და 1 ათეულს?

- A) 290 B) 241 C) 2503.

გეომეტრია და პერიმეტრი

მოსწავლეს მოეთხოვება გეომეტრიული ფიგურის (მაგალითად, სამკუთხედის) გვერდების სიგრძეების ლოგიკური მსჯელობით დადგენა და პერიმეტრის გამოთვლა.

მაგალითი: მართკუთხედის სიგრძე არის 8, ხოლო სიგანე სიგრძეზე 3-ით ნაკლებია. რას უდრის მართკუთხედის პერიმეტრი?

- A) 22 B) 26 C) 134.

ლოგიკური ტექსტური ამოცანები

ამ კატეგორიაში შედის ყოფითი ამოცანები სხვადასხვა ნივთის ფასების გამოთვლაზე და რიცხვების მარტივი მიმდევრობების ჯამის პოვნაზე.

მაგალითი: შოკოლადი 2 ლარით ძვირია, ვიდრე ორცხობილა. რა ღირს ორივე ერთად, თუ ორცხობილა 3 ლარი ღირს?

A) 5 ლარი

B) 8 ლარი

C) 7 ლარი